



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

## ბრძანება

№01/42-ო

ქ.თბილისი

18 ნოემბერი 2013 წ.

სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში”  
იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის  
სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს  
№01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის,  
ამავე კანონის 33<sup>1</sup> მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5  
პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11  
ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი  
ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:  
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში”  
იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის  
სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს  
№01/13-ო ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს 2013 წლის  
19 დეკემბრამდე.

2.საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების ყველა სხვა პუნქტი  
დარჩეს უცვლელი.

3.ინფორმაცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ეცნობოს კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

4.აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლაშა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი